

ერნესტ ორსოლი

კავკასია და სპარსეთი

1882 წელს საქართველოში იმოგზაურა ბელგიელმა ორიენტალისტმა, ერნესტ ორსოლმა (1858-?). მოგზაური თბილის კონტრასტების ქალაქს უწოდებს, მას სამ განსხვავებულ ქალაქად ყოფს და გვაწვდის ცნობებს მისი მოსახლეობის შესახებ.

Ernest Orsolle. Le Caucase et la Perse. Plon, Nourrit et C^{ie}, Paris, 1885

Chacune de ces boutiques pourrait être le sujet d'un tableau de genre, et si j'ai jamais regretté de n'être pas peintre, c'est bien en flânant dans le bazar de Tiflis. La foule qui s'y promène est aussi bigarrée et bariolée que) possible; fonctionnaires russes en uniformes, Tartares portant la bachmett et un papak velu et conique, Arméniens coiffés d'une casquette plate qui contraste étrangement avec leur justaucorps asiatiques à fausses manches pendantes, Wurtembergeois fidèles à l'ancien costume souabe, Albanais en fustanelle, Grecs mendiants, Turcs enjuponnés, Ossetes reconnaissables à leur calotte de feutre noir, Persans, les uns vêtus du costume national et coiffés de longs bonnets pointus en Astrakhan, d'autres gantés de frais et du dernier chic parisien, Lezghuins au profil aquilin, Tusrkomans des steppes de la transcaspiennes, Georgiens serres dans tcherkesse, depuis le lever jusqu'au coucher du soleil, tout ce monde se presse, se bouscule dans les rues étroites et encombrées du bazar. Parfois une longue file de chameaux chargés de marchandises de la Perse, une arba pleine de peaux de bœufs gonflées de vin Kakhetie, des chevaux portant des outres d'eau puisée à la Koura, essayent de se frayer un passage à travers cette cohue qui lors reflue et ondoie dans un vacarme et un tapage indescriptibles. (44)

ყოველი ეს დუქანი შეიძლება იყოს ჟანრული ტილოს სიუჟეტი და თუ ოდესმე ვინანე, რომ მხატვარი არ ვარ, ეს სწორედ თბილისის ბაზრებში ხეტიალის დროს იყო. იქ მოსივრნე ხალხი მეტად ჭრელი და მრავალფეროვანია; რუსი მოხელეები მუნდირებში, ბემმეთიანი და კონუსის ფორმის ფაფახიანი თათრები, სომხები ბრტყელი ქუდებით, რაც უცნაურ კონტრასტს ქმნის მათ ჩამოკონწიალებულ სახელოებიან აზიურ მოკლე ხიფთანთან, ძველი შვაბიური კოსტიუმების ერთგული ვიურტენბერგელები, ფუსტანელებიანი¹ ალბანელები, ბერძენი მათხოვრები, ფართო შარვლიანი თურქები, ოსები თავიანთი შავი ფეტრის ქუდებით, სპარსელები – ერთნი ნაციონალურ კოსტიუმებში, თავზე გრძელი ასტრახანული წოწოლა ქუდებით, სხვები – ახალი ხელთათმანებითა და უკანასკნელი პარიზული პეწით, ლეკები არწივისებრი პროფილით, თურქმანები ამიერკავკასიის სტეპებიდან, ჩერქეზკაში გამოწკეპილი ქართველები – მზის ამოსვლიდან დაღამებამდე ბაზრის ვიწრო, ხალხმრავალ შუკვებში ყველა ჩქარობს და ერთმანეთს ეჯახება. საქონლით დატვირთული აქლემების გრძელი რიგი სპარსეთიდან, კახური ღვინით გაბერილი ტიკებით სავსე ურმები და მტკვრის წყლით გავსებული ტიკებით დატვირთული ცხენები გზის გაკვალვას და მოძრაობას მოზღვავებული ბრბოს ენით აუწერელ ხმაურსა და დავიდარაბაში ცდილობენ.

Le bazar tartar et persan est de l'autre côté de la Koura; il se compose de corridors voûtés, très larges et très élevés. Assis sur un tapis au rebord de sa boutique, le marchand attend les clients en fumant un kalyan, le narghileh de la Perse, ou en égrenant rapidement sur un chapelet d'ambre jaune les cent noms d'Allah. La plupart des ces négociants vendent des soieries et des tapis importés de la Perse qu'ils

¹ ფუსტანელა – ქვედა ბოლო, ზოგიერთი ბალკანელი ხალხის ტრადიციული ჩასაცმელი.

déploient devant l'acheteur jusqu'à ce que ce dernier ait fait son choix, et dieu sait si c'est chose facile que de ce décider à en faire un permis tant d'échantillons plus beaux les uns que les autres. (44)

თათრული და სპარსული ბაზარი მტკვრის მეორე მხარეს მდებარეობს; ის მეტად ფართო და მაღალთაღიანი დერეფნებისგან შედგება. თავისი დუქნის შესასვლელთან მოკალათებული ვაჭარი მყიდველების მოლოდინში ყალიონს, სპარსულ ნარგილეს ეწევა ან ყვითელი ქარვის კრიალოსნით ხელში სწრაფად წარმოთქვამს ალაჰის ას სახელს. ამ ვაჭრების უმრავლესობა სპარსეთიდან იმპორტირებულ აბრეშუმსა და ხალიჩებს ყიდის, რომლებსაც იქამდე შლის მყიდველების წინაშე, ვიდრე ის არჩევანს არ გააკეთებს და მხოლოდ ღმერთმა უწყის, რამდენად ძნელია რამის შერჩევა ერთმანეთზე უფრო ლამაზ ნიმუშებს შორის.

De même que Tiflis comprend en réalité trois villes distinctes, la ville russe, la colonie, la ville asiatique, sa population se compose d'éléments fort différents et, je crois, peu susceptibles de fusion. Les Russes, qu'ils soient fonctionnaires, officiers, négociants, s'y considèrent comme dans un lieu de passage, presque d'exil, qu'ils aspirent à quitter le plus tôt possible, leur temps de service termine ou leur fortune faite. Paris ou Saint-Petersbourg, tel est leur objectif. Au contraire, les Allemands, ceux de la colonie aussi bien que les habitants des villages voisins, Marienfeld et autres, ne songeront guère à regagner jamais le sol sacré du Vaterland; malgré cela, ils ne montrent aucune tendance à se russifier et observent leur individualité nationale fortement marquée; ils ont leur temples, leurs écoles, ils parlent allemand, les femmes ignorent même le russe, – et comme il ne se marient qu'entre eux, il est probable qu'ils garderont longtemps intact leur caractère nationale, à l'inverse de ce qui se passe aux Etats-Unis, où l'élément allemand adopte si rapidement les mœurs et la langue de la population dominante. D'ailleurs, ces colonies n'ont pas exercé sur les Russes et les Tartares l'influence qu'on en attendait; les villages allemands sont tous prospères et florissants; leur population, leur bien-être s'accroît chaque années, tandis que leurs indolents voisins persèverent dans leur ignorance, leur apathie et leur saleté traditionnelles; trop paresseux pour imiter les Allemands qu'ils jalouent, ils se contentent de les haïr. (47)

ასევე, თბილისი რეალურად სამ განსხვავებულ ქალაქს მოიცავს – რუსულს, კოლონიას და აზიურს; მისი მოსახლეობაც მეტად განსხვავებული ელემენტებისგან შედგება და ვფიქრობ, რომ მათი შერწყმა ნაკლებად სავარაუდოა. რუსების, სახელმწიფო მოხელეების, ოფიცრებისა და დიდვაჭრებისთვის, ის დროებითი საცხოვრებელი ადგილია, თითქმის გადასახლებაა; ისინი თავიანთი სამსახურის დასრულების ან ქონების შეძენისთანავე ისწრაფვიან იქიდან მალე წასვლას. პარიზი ან სანკტ-პეტერბურგი – ასეთია მათი მიზანი. კოლონიაში და მათ მეზობლად მდებარე მარიენფელდს² და სხვა სოფლებში მცხოვრები გერმანელები კი პირიქით, მშობლიურ წმინდა მიწაზე დაბრუნებას სულ არ ფიქრობენ; მიუხედავად ამისა, ისინი არ რუსდებიან და იცავენ თავიანთ აშკარად გამოხატულ ეროვნულ ინდივიდუალობას; მათ აქვთ თავიანთი ტაძრები, სკოლები, ლაპარაკობენ გერმანულად, მათმა ქალებმა რუსულიც კი არ იციან და რადგან ერთმანეთში ქორწინდებიან, სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი დიდხანს და უცვლელად შეინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ ხასიათს, განსხვავებით იმისგან, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება, სადაც გერმანულმა ელემენტმა ასე სწრაფად შეითვისა დომინანტი მოსახლეობის ადათ-წესები და ენა. თუმცა ამ კოლონიებმა ვერ მოახდინეს მოსალოდნელი გავლენა რუსებსა და თათრებზე; ყველა გერმანული სოფელი წარმატებული და აყვავებულია; მათი მოსახლეობა და ქონება ყოველწლიურად იზრდება,

² მარიენფელდი – იმპერატორ პავლე I-ის მეუღლის, ვიურტემბერგელი პრინცესას, მარია ფედოროვნას, სახელობის კოლონია დაარსდა სართიქალის მახლობლად.

მათი ზარმაცი მეზობლები კი კვლავ თავიანთ ტრადიციულ უმეცრებაში, აპათიასა და ჭუჭყში ცხოვრობენ; ისინი ძალიან ზარმაცები არიან იმისთვის, რომ მიზამონ გერმანელებს, რომლებსაც შურთ და რომლებიც სძულთ.

Les Géorgiens forment naturellement la majorité de la population; la plupart sont nobles et pauvres, et ce n'est pas seul trait de caractère qui les rapproche des espagnols; comme eux, ils sont fiers, généreux, prodigues de leur fortune et de leur sang; mais ces qualités sont malheureusement compensées par un irrésistible penchant à (47) l'ivrognerie, et paresse qui répugne à tout travail, hormis le métier des armes; pauvres, le Géorgien vit comme il pleut, c'est à dire très mal; riche, son amour du luxe et du plaisir l'entraîne souvent à dépasser ses ressources et le livre aux mains rapaces des prêteurs arméniens; ruiné, son mépris de la vie l'entraîne parfois à se faire bandit; des jeunes gens appartenants au plus anciennes familles ont gagné sur grandes routes une réputation qui ne nuit d'ailleurs en rien à leur considération, mais finit le plus souvent par les conduire à Sibirie. Malgré ses défauts, c'est une race intelligente, sympathique, dont on doit espérer beaucoup lorsqu'elle sera complètement initiée à la civilisation européenne.

ქართველები, ბუნებრივია, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ; მათი დიდი ნაწილი კეთილშობილი და ღარიბია და ეს არ არის ხასიათის ის ერთადერთი ნიშანი, რომელიც მათ ესპანელებთან აახლოებს; მათსავით ამაყები და გულუბნები, ისინი არ უფრთხილდებიან თავიანთ ქონებასა და სისხლს; მათ ამ თვისებებს სამწუხაროდ ემატება გადაულახავი მიდრეკილება ლოთობისა და სიზარმაცის მიმართ, რაც მიუღებელია ნებისმიერი საქმისთვის, გარდა სამხედრო სამსახურისა; ამგვარად, ღარიბი ქართველი ისე ცხოვრობს, როგორც შეუძლია ანუ ძალიან ცუდად; მდიდარი ქართველი ფუფუნებისა და სიამოვნებისადმი სიყვარულის გამო ხშირად თავის შესაძლებლობებზე მეტს ხარჯავს და გაუმადარი სომეხი კრედიტორების ხელში ვარდება; გაკოტრება, სიცოცხლის არად ჩაგდება მას ზოგჯერ ბანდიტად აქცევს; უძველესმა ოჯახიშვილებმა სახელი შარაგზაზე მოიხვეჭეს, რაც სრულიად არ ვნებს მათ მიმართ დამოკიდებულებას, მაგრამ უფრო ხშირად ციმბირით მთავრდება. ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, ეს ჭკვიანი, სასიამოვნო ერია, რომლისგანაც ბევრს უნდა ველოდოთ, როდესაც ის სრულად ეზიარება ევროპულ ცივილიზაციას.

Après les Géorgiens, les Arméniens sont les plus nombreux. C'est des gens de tous métiers, pourvu qu'ils soient rémunérateurs; leurs aptitudes naturelles les poussent vers le négoce et la banque; grâce à leur esprit d'économie et de travail, ils réussissent souvent à accumuler de grosses fortunes. Qu'il soit employé, fonctionnaire, banquier, prêteur sur gage, l'Arménien n'a qu'un objectif: l'argent; comme le Juif, il a parfaitement saisi que c'est la grande puissance qui domine la société moderne, et tout tendent leurs efforts vers ce but qu'ils poursuivent sans relâche et souvent sans scrupules – aussi n'y a-t-il que peu ou pas de Juifs au Caucase, les Arméniens rendent leur présence parfaitement inutile. Un seul trait différencie les arméniens des Juifs; nulle part ces derniers ne sont agriculteurs, tandis que les paysans arméniens cultivent avec soin leur sol natal; l'amour du champ paternel héréditaire se confond pour eux avec le culte de leur patrie démembrée, vraie Pologne de l'Orient. Ainsi, grâce à leur travail, les Arméniens s'enrichissent, tandis que les Géorgiens vont s'appauvrissant toujours, la plupart du moins (48).

ქართველების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი სომხები არიან. ისინი ყველა სახის ხელობას მისდევენ, თუ ის მოგებიანია; ბუნებრივი მიდრეკილება მათ ვაჭრობისა და საბანკო საქმისკენ უბიძგებს, ხოლო თავიანთი მომჭირნეობითა და შრომით ხშირად დიდ ქონებასაც იხვეჭენ. ნებისმიერ მათგანს – ხელოსანს, მოხელეს, ბანკირს თუ მევახშეს, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: ფული; ებრაელის მსგავსად, მასაც კარგად ესმის, რომ ეს არის ის უდიდესი ძალა,

რომელიც დომინირებს თანამედროვე საზოგადოებაში და ყველა ისწრაფვის ამ მიზნისკენ, რომელსაც მუხლჩაუხრელად, ხშირად კი არაკეთილსინდისიერადაც აღწევენ – ასე რომ, კავკასიაში ებრაელები ცოტანი ან სულაც არ არიან, რადგან სომხები მათ ყოფნას სრულიად უსარგებლოს ხდიან. სომხებს ებრაელებისგან მხოლოდ ერთი თვისება განასხვავებს: ებრაელები არსად არ მისდევენ მიწათმოქმედებას, სომეხი გლეხები კი საგულდაგულოდ ამუშავებენ მშობლიურ მიწას; მამისეული მემკვიდრეობითი მიწისადმი სიყვარული მათთვის დანაწევრებული სამშობლოს – აღმოსავლეთის ჭემმარიტი პოლონეთის³, კულტს ერწყმის. ამგვარად, თავიანთი შრომის წყალობით სომხები მდიდრდებიან, ქართველები კი ღარიბდებიან, ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა მაინც.

Au fond, ces deux races, si différentes de caractère, sont assez hostiles l'une à l'autre et ne se mélangent que très peu; un géorgien considère un mariage avec une Arménienne comme une mésalliance, ce qui n'empêche pas maint prince authentique et ruine d'améliorer ses finances en épousant la fille de quelque riche seraff. Cette absence de fusion est d'ailleurs fort regrettable, car le croisement et le mélange des deux races produisent sans doute une descendance que la combinaison des qualités et des aptitudes héréditaires de l'une et de l'autre douerait supérieurement pour soutenir le *struggle for life*. (49)

არსებითად, ეს ორი ასე განსხვავებული ხასიათის ხალხი ერთმანეთის მიმართ საკმაოდ მტრულად არის განწყობილი და მათ შორის ქორწინება ძალიან იშვიათია; ქართველი სომეხთან დაქორწინებას მეზალიანსად მიიჩნევს, რაც ხელს არ უშლის, რომ მრავალმა ძირძველმა და გაკოტრებულმა თავადმა თავისი ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად რომელიმე მდიდარი ზარაფის⁴ ქალიშვილი შეირთოს ცოლად. ამას გარდა, ასეთი შერწყმის სიმცირე მეტად სამწუხაროა, რადგან ორი ერის შერევა და შერწყმა უეჭველად წარმოშობს იმ შთამომავლობას, რომელსაც ორივე ერისგან მემკვიდრეობითი თვისებები და უნარი საუკეთესოდ შეაძლებინებს სიცოცხლისთვის ბრძოლას.

Tiflis compte aussi dix ou douze mille Persans; peut-être le fond de cette population remonte-t-il à l'époque où les rois de l'Iran dominant aussi en Géorgie, mais ce stratum primitif a été continuellement augmenté et renouvelée par les nombreux immigrants qui viennent de l'ouest et du nord de la Perse chercher fortune au Caucase. La plupart des ces Iranis sont commerçants et de madrés compères, s'il faut en croire le proverbe: «Il faut deux Juifs pour voler un Arménien, deux Arméniens pour voler un Persan»; ils ont aussi la réputation d'être les plus habiles maçons de la Transcaucasie. Quant aux Persans de la province d'Erivan, sujet du Czar depuis 1828, ils entrent volontiers dans l'armée et l'administration russes; leur connaissance des langues orientales en fait d'utiles auxiliaires dans les provinces asiatiques; adroits et intelligents, devenus pour la plupart absolument Européens de mœurs et d'idées, ils s'élèvent souvent à d'importants emplois; ce sont d'ailleurs de parfait gentlemen; beaucoup parlent parfaitement français. (49)

თბილისში დაახლოებით 10,000-12,000 სპარსელი ცხოვრობს; შესაძლოა, რომ ამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აქ საქართველოში ირანის მეფეები ბატონობის დროიდან არის, მაგრამ ძირითადი ფენა მუდმივად იზრდებოდა და ივსებოდა უამრავი ემიგრანტით,

³ 1807 წელს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის დადებული ტილზიტის ხელშეკრულების საფუძველზე ნაპოლეონმა დააარსა ვარშავის სამთავრო, რომელიც 1772, 1793 და 1795 წლებში აერთიანებდა რუსეთის, პრუსიისა და ავსტრიის მიერ მიტაცებულ პოლონურ ტერიტორიებს. მაგრამ 1814-1815 წლების ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ქვეყანა კვლავ დანაწილდა.

⁴ ზარაფი – საფასურით ფულის დამხურდავებელი ან სარგებლით ფულის გამსესხებელი.

რომლებიც კავკასიაში ბედის სამეზობლოდ სპარსეთის დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ჩამოდიან. ამ ირანელების უმრავლესობა ვაჭარი და გაქნილი თაღლითია, თუ ამ ანდაზას ვენდობით: „ერთი სომხის გასაქურდად საჭიროა ორი ებრაელი, ერთი სპარსელის გასაქურდად – ორი სომეხი“; ამიერკავკასიაში მათ ყველაზე ხელოვანი კალატოზების სახელი აქვთ. რაც შეეხებათ ერევნის პროვინციის სპარსელებს, ისინი მეფის ქვეშევრდომები არიან 1828 წლიდან და ნებაყოფლობით მსახურობენ რუსულ არმიასა და ადმინისტრაციაში, აღმოსავლური ენების ცოდნის გამო კი სასარგებლო დამხმარენი არიან აზიურ პროვინციებში; არიან რა უნარიანები და ჭკვიანები, მათი უმრავლესობა მანერებითა და იდეებით სრულიად ევროპელი გახდა და ხშირად მნიშვნელოვან თანამდებობებსაც აღწევს; ამასთან, ისინი შესანიშნავი ჯენტლმენები არიან, ბევრი მათგანი ჩინებულად ლაპარაკობს ფრანგულად.

Les Tartares sont à peu près aussi nombreux que les Persans; c'est une race pauvre, mais sobre et laborieuse; ils exercent les métiers pénibles; les uns sont hammals (49), d'autres, moins sédentaires, conduisent les caravanes de chameaux et des mules, les lourds chariots, seuls moyens de transport dont dispose l'intercourse commerciale des provinces du Caucase entre elles et avec la Perse. Les Tartares exercent aussi des professions moins valables; c'est parmi eux que se recrutent principalement les bandes de voleurs et d'assassins dont les sinistres exploits remplissent périodiquement les colonnes des journaux de Tiflis.

თათარი დაახლოებით იმდენია, რამდენიც სპარსელი; ეს ღარიბი, მაგრამ გონიერი და მშრომელი ერია; ისინი საკმაოდ მძიმე ხელობებს ეწევიან, ერთნი მეაბანოეები არიან, ნაკლებად ბინადარი ნაწილი კი კავკასიასა და სპარსეთს შორის ვაჭრობის ერთადერთი ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალების – მძიმედ დატვირთული აქლემებისა და ჯორების გამრეკები არიან; თათრები ნაკლებად კანონიერ საქმიანობასაც მისდევენ, სწორედ მათგან იკრიბება ქურდებისა და მკვლელების ბანდები, რომელთა ბოროტმოქმედებების ამბები პერიოდულად ავსებს თბილისის გაზეთების სვეტებს.

La colonie européenne est assez nombreuse, sinon très choisie; elle se compose surtout de Français, la plupart marchands de modes, quelques-uns négociants en soieries; d'Italiens et de Grecs exercent de petits métiers; d'Allemands employés dans des maisons commerce; puis viennent quelques Anglais, occupés dans les bureaux du télégraphe indo-européen. Deux ou trois Japonais récemment arrivés tachent d'introduire la culture du thé, sans grande succès, je pense. (50)

ევროპული კოლონია თუ ძალიან რჩეული არ არის, საკმაოდ მრავალრიცხოვანია; ის ძირითადად ფრანგებისგან შედგება, რომელთა უმრავლესობა მოდური საგნებით, ზოგიერთი კი აბრეშუმით ვაჭრობს; იტალიელები და ბერძნები წვრილმან ხელოსნობას მისდევენ; გერმანელები სავაჭრო სახლებში მუშაობენ; შემდეგ რამდენიმე ინგლისელია, რომლებიც ინდოევროპული ტელეგრაფის განყოფილებებში მსახურობენ. ახლახან ჩამოსული ორი თუ სამი იაპონელი ჩაის კულტურის დანერგვას ცდილობს, ვფიქრობ, დიდი წარმატების გარეშე.

თარგმნა ირინე ნაჭყებიაძე